# "საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია"

# წესდება

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1."საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია" (შემდგომ ტექსტში "ასოციაცია") არის არასამეწარმეო ორგანიზაცია;
1.2. ასოციაცია მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და თავისი წესდების შესაბამისად;
1.3. ასოციაცია წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში;
1.4. ასოციაცია ფლობს განკერძოებულ ქონებას. უფლებამოსილია განახორციელოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში, უფლება აქვს დადოს გარიგებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ წესდებას;
1.5. ასოციაციის მისამართია: ქ. თბილისი, 0105, სულხან-საბას №1/5, www.miso.ge, www.microfinance.ge;
1.6. ასოციაციის ოფიციალური სახელწოდებაა: "საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია". შემოკლებული "სმა";ლათინური ტრანსკრიფციით **"Georgian Microfinance Association"** შემოკლებით "**GMFA"**;
1.7. ასოციაციის ოფიციალური ენა არის ქართული ენა, ასოციაციის საქმიანობა შესაძლებელია წარიმართოს ასევე ინგლისურ და რუსულ ენაზეც.

## 2. ასოციაციის მიზნები

**2.1.** ასოციაციის მიზნებია:
**2.1.1.** ხელი შეუწყოს მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებას და გაძლიერებას საქართველოში;
**2.1.2.** გააუმჯობესოს საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ასოციაციის სხვა წევრების ინსტიტუციონალური შესაძლებლობები;
**2.1.3.** ურთიერთ ნდობისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ასოციაციის სხვა წევრების პრესტიჟის მხარდაჭერა;
**2.1.4.** ხელი შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებას და გათვითცნობიერებას მიკროფინანსებში;
**2.1.5.** მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ასოციაციის სხვა წევრების უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მათი სამართლებრივი გარანტიებისა და საქმიანობის კოორდინაციისთვის ხელის შეწყობა;
**2.1.6.** საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება, რომლებიც დაინტერესებულები არიან მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებით და დახმარებას გაუწევენ, როგორც ასოციაციის წევრებს, ასევე ასოციაციას ფინანსურად, გრანტებითა და სხვა სახით (მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო და ინფორმაციული ხასიათის სემინარებში და

მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება);
**2.1.7.** საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებთან ურთიერთობის დამყარება;
**2.1.8.** საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
**2.1.9.** საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, მცირე ბიზნესისათვის გამოყოფილი კრედიტების მიზნობრივად გაცემაში, ასოციაციის წევრების მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფის მიზნით;
**2.2.** აღნიშნული მიზნების მისაღწევად:
**2.2.1.** ასოციაცია ამზადებს წინადადებებს ასოციაციის წევრების საქმიანობის მარეგლამენტირებელი ნორმატიული დოკუმენტების თაობაზე და წარუდგენს მათ ხელისუფლების ორგანოებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციების (ფინანსური ოპერაციების) გაზრდას საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე. მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში ისეთი ნორმატიული საკანონმდებლო აქტების განხილვისას, რომლებიც უშუალო კავშირშია ქვეყნის მიკროსაფინანსო სექტორთან. იცავს ასოციაციის წევრების ინტერესებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში;
**2.2.2.** პერიოდულად ამზადებს ინფორმაციას ასოციაციის წევრებისათვის საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე;
**2.2.3.** შესაბამის ორგანოებში შეაქვს წინადადება ასოციაციის წევრების მიმართ გონივრული საგადასახადო პოლიტიკის გამოყენების შესახებ;
**2.2.4.** იყენებს კანონით ნებადართული მოქმედების ფორმებს და თანამშრომლობს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ასოციაციის პრინციპებს და ხელს უწყობს ამ ასოციაციის მიზნების განხორციელებას;
**2.2.5.** იხილავს ასოციაციის წევრების განცხადებებს მათ მუშაობაში წარმოქმნილი სიძნელეების შესახებ და ყოველ ღონეს ხმარობს ამ წესდებით მინიჭებული უფლებების ფარგლებში დახმარების აღმოსაჩენად;
**2.2.6.** ასოციაციის წევრებს უწევს სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სხვა სახის საკონსულტაციო დახმარებას. ინფორმაციას ამზადებს ასოციაციის წევრებისათვის ფინანსური და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ტენდენციებზე;
**2.2.7.** ინფორმაციას აწვდის ასოციაციის წევრებს იმ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებს არბიტრაჟი ან სასამართლო ასოციაციის წევრებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
**2.2.8.** ამზადებს ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მიმოხილვას ეკონომიკის, კრედიტების, ფინანსების, ვალუტის, ბირჟების საქმიანობის, ინფლაციის მდგომარეობისა და მიკროსაფინანსო სფეროში მუშაობის დადებითი გამოცდილების შესახებ. აწყობს სამეცნიერო, სასწავლო სემინარებსა და კონფერენციებს.

## 3. ასოციაციის უფლებები

**3.1.** ასოციაცია სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და მისი წესდებით;
**3.2.** დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად ასოციაცია უფლებამოსილია შექმნას კომისიები და კომიტეტები;
**3.3.** კომისიების და კომიტეტების წევრები შეიძლება იყვნენ როგორც ასოციაციის წევრები, ასევე ხელშეკრულებების საფუძველზე მოწვეული პირები;

**3.4.** ასოციაცია თავისი მიზნებისა და ამოცანების უკეთ შესრულების მიზნით უფლებამოსილია შექმნას რეგიონალური წარმომადგენლობები და მიიღოს მონაწილეობა დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნაში.

## 4. ასოციაციის წევრები

**4.1.** ასოციაციის წევრები არიან ასოციაციის დამფუძნებელი იურიდიული პირები და ასევე შემდგომში წევრები შესაძლოა გახდნენ სხვა იურიდიული პირებიც, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული/ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტები: მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ბანკები, მიკრობანკები, საკრედიტო კავშირები. შემდგომში ასოციაციის წევრებად ფინანსური ინსტიტუტების მიღება მოხდება განცხადების საფუძველზე გამგეობის გადაწყვეტილებით;
**4.2.** ასოციაციის წევრ იურიდიულ პირს ასოციაციაში წარმოადგენს წევრის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი ან მისი მინდობილი პირი;
**4.3.** ასოციაციის წევრს უფლება აქვს:
**4.3.1.** გამგეობის მიერ დადგენილი წესით აირჩიონ და არჩეულ იქნან ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში;
**4.3.2.** შეიტანოს ასოციაციის გამგეობაში წინადადებები, რომლებიც მიმართულნი იქნებიან ასოციაციის და მისი წევრების ინტერესების დასაცავად და მათი საქმიანობის სრულყოფისათვის;
**4.3.3.** გამოხატოს თავისი პოზიცია ნებისმიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
**4.3.4.** მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და მიკროსაფინანსო სექტორის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტების შემუშავებაში;
**4.3.5.** ისარგებლოს ასოციაციის ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურებით, კონსულტაციებით და რეკომენდაციებით;
**4.3.6.** ნებაყოფილობით წარადგინოს ასოციაციაში ბალანსები და ჩატარებული აუდიტორული დასკვნების შედეგები;
**4.4.** ასოციაციის წევრი ვალდებულია:
**4.4.1.** მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიზნების განხორციელებაში;
**4.4.2.** გადაიხადოს საწევრო გადასახადი;
**4.4.3.** დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები;
**4.4.4.** უზრუნველყოს ასოციაციის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, წევრობიდან გასვლის შემთხვევაშიც;
**4.4.5.** დაიცვას ასოციაციის ინტერესები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
**4.4.6.** დაიცვას ასოციაციის საერთო კრების და მისი აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები;
**4.5.** ასოციაციის წევრს უპირობოდ უწყდება უფლებამოსილება რომელიმე შემდეგ შემთხვევაში:
**4.5.1.** დადგენილ ვადაში არ გადაიხდის საწევრო გადასახადს;
**4.5.2.** საკუთარი განცხადებით მიმართავს ასოციაციას წევრობის შეწყვეტის შესახებ;

**4.5.3.** გამგეობა მიიღებს გადაწყვეტილებას მისი წევრობის შეწყვეტის შესახებ.
**4.6.** ასოციაციის წევრი იურიდიული პირის წარმომადგენელს უწყდება უფლებამოსილება თუ სამსახურეობრივად აღარ არის დაკავშირებული იმ ორგანიზაციასთან, რომლის წარმომადგენელიც

ის იყო;
**4.7.** ასოციაციის წევრის მხრიდან ამ წესდების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი წევრობის საკითხს განიხილავს ასოციაციის გამგეობა და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
**4.8.** ასოცირებულ წევრებად ასოციაციაში ხმის უფლების გარეშე მიიღებიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც დაინტერესებული არიან მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებით.

## 5. ასოციაციის საერთო კრება

5.1. ასოციაციის საერთო კრება (შემდგომში "კრება"), წარმოადგენს ასოციაციის მართვის უმაღლეს ორგანოს და მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც აღმასრულებელი დირექტორის მიერ. თუ აღმასრულებელი დირექტორი არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს კრებას, გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს კრება;
5.1.1. რიგგარეშე კრების მოწვევა ხორციელდება აღმასრულებელი დირექტორის, გამგეობის თავმჯდომარის ან გამგეობის გადაწყვეტილებით, ან ასოციაციის წევრთა 1/3 –ის მოთხოვნით;
5.1.2. აღმასრულებელმა დირექტორმა (ან სხვა შესაბამისმა კრების მომწვევმა პირმა) კრება უნდა მოიწვიოს კრების ჩატარებამდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე ასოციაციის ყველა წევრისთვის წერილობით ან ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. კრება უფლებამოსილად ითვლება თუ მასში მონაწილეობს ასოციაციის წევრთა ნახევარზე მეტი. საკითხი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობა. საერთო კრებას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას აღმასრულებელი დირექტორი;
5.1.3. კრება ისმენს ასოციაციის გამგეობის ანგარიშს, გადასინჯავს, ცვლის და იღებს ასოციაციის წესდებას და პროგრამას;
5.1.4. კრება იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის სახელის შეცვლის, რეორგანიზაციის, საქმიანობის შეწყვეტის და ლიკვიდაციის შესახებ;
5.1.5. ასოციაციის საერთო კრება ირჩევს ასოციაციის გამგეობას 9 წევრის შემადგენლობით, გამგეობის წევრები აირჩევიან ასოციაციის წევრთაგან (ერთი წევრიდან არაუმეტეს ერთი წარმომადგენლისა) ღია კენჭისყრით 3 წლის ვადით, ხოლო გამგეობის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს. ვადის გასვლის შემდეგ გამგეობის 3 წევრი ექვემდებარება როტაციას.

## 6. ასოციაციის გამგეობა

**6.1** ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა 9 წევრისგან შემდგარი ასოციაციის გამგეობა, რომლის წევრებსაც სამი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე;

**6.2.** გამგეობის სხდომები იმართება ყოველკვარტალურად და თანახმად მიღებული გამგეობის სხდომების დებულებისა. გამგეობის რიგგარეშე სხდომები შეიძლება ჩატარდეს გამგეობის თავმჯდომარის ან გამგეობის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით. სხდომებს ხელმძღვანელობს

გამგეობის თავმჯდომარე. თუ გამგეობის თავმჯდომარე არ ესწრება გამგეობის სხდომას, მაშინ სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით. გამგეობის წევრები დამსწრეებად ჩაითვლებიან თუ ფიზიკურად ესწრებიან სხდომის ოთახში მთლიან სხდომას ან მონაწილეობენ გამგეობის სხდომაში სატელეფონო კავშირის ან სკაიპის მეშვეობით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგეობის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით;

**6.3** გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს მხოლოდ გამგეობის სხვა წევრს, რაც აუცილებლად უნდა დადასტურდეს ნოტარიული მინდობილობით ან ასოციაციის წევრის ტიტულიანი ფურცლზე შესრულებული მინდობილობით. უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი სხდომის დაწყებამდე გადაეცემა თავმჯდომარეს;

**6.4.** გამგეობის კომპეტენციაში შედის:

-- კრების სხდომის მოწვევა;

-- მოცემული წესდების მე-4 მუხლის საფუძველზე ასოციაციაში ახალი წევრის მიღება და წევრობის შეწყვეტა;

-- ასოციაციის განვითარების პროექტების დამტკიცება;

-- ქონების გასხვისების საკითხის გადაწყვეტა;

-- ასოციაციის და ასოცირებულ წევრთა საწევრო განაკვეთების რაოდენობის განსაზღვრა და ყოველთვიური საწევრო გადასახადების ოდენობის და ვადების დადგენა;

-- ასოციაციის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება და სხვა იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც ასოციაციის მიზნებში არის ასახული, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც მხოლოდ კრების კომპეტენციაში შედის;

**6.5.** გამგეობა რეკომენდაციებს აძლევს ასოციაციის წევრებს საერთაშორისო აუდიტორულ ფირმებთან, რომელთა აუდიტიც მიღებულია საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს ამ ფირმებთან მოლაპარაკებებს ასოციაციის წევრებისათვის აუდიტის ჩატარების პირობებზე;

**6.6.** გამგეობა რეკომენდაციებს აძლევს ასოციაციის წევრებს ცნობილ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან თანამშრომლობაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას;

**6.7.** ვადაზე ადრე ასოციაციის გამგეობის ცვლილების მოთხოვნის უფლება აქვს ასოციაციის ნებისმიერ წევრს. მან ამ ცვლილების მოთხოვნით წერილობით უნდა მიმართოს ასოციაციის გამგეობას. გამგეობა ვალდებულია, მოთხოვნის ავტორთან ერთად განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება 15 დღის ვადაში;

**6.8.** ასოციაციის გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან გამგეობის წევრთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში კრება უფლებამოსილია აირჩიოს გამგეობის ახალი წევრი ან წევრები იმ დარჩენილი ვადით, რა ვადითაც არჩეული იყო ასოციაციის გამგეობა.

## 7. აღმასრულებელი დირექტორი

**7.1** ასოციაციის სპეციალური წარმომადგენელია აღმასრულებელი დირექტორი. აღმასრულებელი დირექტორის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფარგლები, აგრეთვე მისი საქმიანობის

წესი განისაზღვრება წესდებით;
**7.2** გამგეობა ხმათა უმრავლესობით ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს. აღმასრულებელი დირექტორი არ უნდა იყოს ასოციაციის წევრი საფინანსო ორგანიზაციების სამეთვალყურეო ან მმართველობითი ორგანოების წევრი პირი, ან პირი, რომელიც ფლობს ასოციაციის წევრი რომელიმე საფინანსო ორგანიზაციის წილის 5%-ს ან მეტს;
**7.3.** აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს ასოციაციის აღმასრულებელ აპარატს. აფორმებს ხელშეკრულებას (კონტრაქტს) აპარატის თანამშრომლებთან და სხვა ფიზიკურ პირებთან. ასევე საჭიროების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებებს იურიდიულ პირებთან, ორგანიზაციას უკეთებს ასოციაციის საერთო კრების და გამგეობის გადაწყვეტილების შესრულებას. მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ასოციაციის ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
**7.4.** ხელმძღვანელობს და აწარმოებს ასოციაციის მიმდინარე საფინანსო - სამეურნეო საქმიანობას. ორგანიზაციას უკეთებს ასოციაციის წევრების საწევრო შენატანების გადახდას გამგეობის მიერ დადგენილ ვადებში;
**7.5.** საჭიროების შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორის დავალებით და გამგეობის თანხმობით აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას ასრულებს აპარატის რომელიმე თანამშრომელი.

## 8. ასოციაციის შემოსავლის წყაროები

**8.1.1.** საწევრო გადასახადები;
**8.1.2.** შემოწირულობები;
**8.1.3.** გრანტები;
**8.2.** ასოციაციის საქმიანობის შედეგად დარჩენილი წმინდა შემოსავალი არ ექვემდებარება ასოციაციის დამფუძნებლებსა თუ წევრებს შორის განაწილებას და იგი ხმარდება მხოლოდ საწესდებო ამოცანების და მიზნების განხორციელებას.

## 9. საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია

**9.1.** ასოციაციის რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
**9.2.** ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა ხდება სალიკვიდაციო კომისიის შექმნის მომენტიდან;
**9.3.** ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით.